განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სოციალური მეცნიერებები
დოქტორანტურა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 22.10.21

დასკვნის წარდგენის თარიღი: 20.12.21

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე საიდენტიფიკაციო კოდი	უნივერსიტეტი 211349192

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სოციალური მეცნიერებები Social Sciences
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სოციალური მეცნიერებების დოქტორი Doctor of Social Sciences
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული - 0319
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	სასწავლო კომპონენტი 30 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)	აკრედიტებული **აკრედიტაციის საბჭოს 13.12.2012 გადაწყვეტილება № 792**

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითებ ა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა კირვალიძე, სსიპ- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ფირცხალავა, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია-ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა "სოციალური მეცნიერებები" 2012 წლიდან ხორციელდება (13.12.2012 წლის № 792 გადაწყვეტილების საფუძველზე).

სადოქტორო პროგრამის მიზანია სოციალურ მეცნიერებათა განხრით მაღალკვალიფიციური აკადემიური კადრების (დოქტორანტების) მომზადება ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო სფეროსა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის. აგრეთვე სხვა სამუშაოსთვის, რომელიც მოწინავე ინტერდისციპლინურ სოციალურ-მეცნიერულ ცოდნასა და ანალიტიკურ, კვლევით უნარებს მოითხოვს.

აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციიების გათვალისწინებით, 2013 წელს პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები და მოდიფიცირდა. ცვლილებები განხორციელდა სასწავლო კურსის სილაბუსებში და დატვირთვაში სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 თებერვლის №1939 დადგენილების საფუძველზე. კერძოდ, სასწავლო კურსის პროგრამებს (სილაბუსებს) შეეცვალათ საკონტაქტო საათები.

ცვლილებები განხორციელდა სასწავლო კურსებში, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემაში, შეფასების ფორმებში და კრიტერიუმები სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის, №2691 დადგენილების (სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის ცვლილებების შესახებ) საფუძველზე. ასევე ცვლილებენი განხორციელდა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალის შემადგენლობაშიც.

2021 წელს, რეკრედიტაციის მიზნით, წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისიწინებულია სტუდენტთა, კურსდამთვარებულთა და დამსაქმებლების მოთხოვნები და განხორციელებულია შემდეგი ცვლილებები: მოდიფიკაცია და კორექტირება მოხდა ასევე პროგრამის მიზნებსა და შედეგებში; ასევე, შეიცვალა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; სასწავლო კომპონენტი განისაზღვრა 30 კრედიტით.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია-ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის - "სოციალური მეცნიერებები" - აკრედიტაციის ვიზიტისთვის ექსპერტთა ჯგუფმა მზადება დაიწყო უსდ-ს მიერ მომზადებული მასალებისა და დოკუმენტაციების ჯეროვანი გაცნობით. მიგნებებისა და შეფასებების ურთიერთგაზიარების, ღია კითხვებზე მოსაზრებების გაცვლისა და შეჯერების მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა დაგეგმა მოსამზადებელი შეხვედრა. შეხვედრამ ასევე ხელი შეუწყო ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვიურების პროცესის ეფექტურ წარმართვას ჯგუფის მხრიდან.

აკრედიტაციის ვიზიტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია-ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2021 წლის 22 ოქტომბერს განხორციელდა დისტანციურ ფორმატში. აკრედიტაციის ჯგუფის წევრები ვიზიტის ფარგლებში შეხვდნენ პროგრამაში ჩართულ სხვადასხვა მხარეს. მათ შორის, ექსპერტთა ინტერვიუები წარიმართა ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებთან. ინტერვიუები ჩატარდა ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან. აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. შეხვედრები განხორციელდა როგორც, პროგრამის დოქტორანტებთან, ისე, გარე დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ, კურსდამთავრებულებსა და პოტენციურ დამსაქმებლებთან.

აკრედიტაციის ვიზიტის ონლაინ ფორმატიდან გამომდინარე სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსის დათვალიერებაც მოხდა დისტანციურ რეჟიმში.

შეხვედრებზე ინტერვიუების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ საკითხებს, რომელიც დამატებით განმარტებებსა და დაზუსტებას მოითხოვდა ექსპერტების ხელთ არსებული პროგრამის ყველა დოკუმენტების გაცნობის მიუხედავად. გარდა ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციისა, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის ხელმძღვანელებისგან ასევე გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტები მიგნებების დროს გაჩენილი საკითხების დასაზუსტებლად. ინტერვიუს პროცესში ყურადღება გამახვილდა პროგრამის მიზნებსა და შინაარსზე, კურუკულუმზე, ხარისხის უზრუნველყოფის არსებულ მექანიზმებზე, სილაბუსებზე და ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია-ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სააკრედიტაციო ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯერეს ინტერვიუს შედეგები, რის შემდეგაც, ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ თითოეულ სტანდარტთან დაკავშირებით მიგნებები გააცნო უმაღლესი სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია-ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა "სოციალური მეცნიერებები" მეტწილად შესაბამისობაშია ერთი სტანდარტის (სტანდარტი № 3) მოთხოვნებთან და ნაწილობრივ შესაბამისობაშია ოთხი სტანდარტის (№1, №2, №4, №5) მოთხოვნებთან.

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მიღწევების თვალსაზრისით, დასტურდება, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები იღებენ სათანადო და დეტალურ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის და სასწავლო ცხრილების შესახებ. ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე ხელმისაწვდომია ადმინისტრაციის და აკადემიური პერსონალის მხრიდან.სტუდენტები იღებენ ინფრომაციას დასაქმებაზე და ახალ ვაკანსიებზე ფაკულტეტის წარმომადგენლების მეშვეობით, ისევე როგორც დამსაქმებელთან შეხვედრების მეშვეობით.

28 აკადემიური პერსონალიდან 14 წარმოდგენილია როგორც ნაშრომების ხელმძღვანელი,
უნდ აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი 28 აკადმეიური პერსონალიდან მხოლოდ ნაწილს აქვს სადოქტორო ხარისხი სოციალურ მეცნირებებში.

დოქტორი ან დოქტრთან გათანაბრებული ხარიხების ჩამონათვალი: *6 ისტორიაში, 3 ფილოლოგიაში , 7 ფილოსოფიაში, 2 პოლიტიკის მეცნიერბებში, 3 სოციალურ მეცნიერებაში, 1 განათლებაში, 1 ბიზნესში, 2 სოციოლოგიაში, 2 ფსიქოლოგიაში,* პერსონალის წარმოდგენილი CV-ების და ბოლო წლებში გამოქვეყნებული შრომების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავდ იმისა, რომ აკადმიური და მოწვეულ პერსონალს აქვთ გამოქვეყნებული ნაშრომები, მონოგრაფიები და საკონფერენციო მასალები, იგრძნობა უცხო ენაზე გამოქვეყნებული კვლევითი ნაშრომების ნაკლებობა, მხოლოდ ერთეულ აკადემიურ პერსონალს, ძირითადად მოწვეულს აქვს საერთაშორისო კვლევითი პუბლიკაციები, რას შეიძლება ითქვას რომ არის ამ პროგრამის, როგორც სადოქტორო პროგრამის გამოწვევაა.
წარმოდგენილი დისერტაციების სათაურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ სათაურები არ ეხმიანება სოციალურ მეცნიერებაში ჩატარებული კვლევებს - მაგ *"საქართველოს ეკლესია კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის მოღვაწეობის პერიოდში." "საქართველოს სპორტის სოციალურ-ესთეტიკური ასპექტები (ტანვარჯიშის მაგალითზე)", „თანამედროვე ჩინეთის განათლება“, „ილია ჭავჭავაძე და ერის კულტურული მემკვიდრეობა“, „საქარტველოს კულტურული მემკვიდრეობა და ქართული ხალიჩა - მხატვრულ-სტილისტური და ტექნოლოგიური ასპექტები“* კიდევ შეიძლება მაგალითების მოყვანა.
სადოქტორო ნაშრომების ნაწილი შესრულებულია ფსიქოლოგიაში. ფსიქოლოგიაში არსებული მიმართულებების მიხედვით სოციალური მეცნიერების სადოქტორო პროგრაში შესაძლებელია შესრულდეს კვლევა სოციალური და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მიმართულებით.რომელსაც ხელმძრვანელობა უნდა გაუწიოს ფსიქოლოგიის დოქტორმა შესაბამის მიმარტულებით. აკადემიურ პერსონალშ წარმოდგენილია 2 შესაბამისი აკადემიური ხარისიხ პროფესორი, აქედან 1 მოწვული. უნდ აარინიშნოს, რომ დოქტორი განათლების მეცნიერებეში ხელმძღვანელობს ფსიქოლოგიაში შემდგეგი სათაურის დისერტაციებს: ""ინტელექტის დონეები და ემპათიურობის პრობლემა.""დევიაციის ფსიქოლოგია და მისი ძირითადი ასპექტები"
თუ ამ მიმართულებას ლოგიკურად მივყვებით სადოქტორო პროგრამაში აკადემიური პერსონალის შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის არსებობას, რომელა ექნებათშესაბამისი კომპეტენცია უნდა დადასტურდებოდეს სამეცნიერო აქტივობებით, კვლევითი ნაშრომებით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობთ და (უმჯობესია, რეფერირებადი და მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე) საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების შესაბამისი რაოდენობით. რაც უნდა ეხმიანებოდეს სახელმძრვანელო დისერტაციის თემატიკას.
ამ მხრივ, უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებმა (მათ შორის აკადემიური პერსონალის CV-ის განხილვამ და ასევე ინტერვიუს შედეგებმა ცხადყო, რომ დისერტაციის ხელმძღვანელების ნაწილს ამ მიმართულებით კვლევები, მათ შორის საერთაშორისო პუბლიკაციები კვლევათა

ჩამონათვალში ნაკლებად აქვთ წარმოდგენილი. ასევე, სადოქტორო პროგრამაში წარმოდგენილი სხვა აკადემიური პერსონალის კვლევითი შრომების შესაბამისობა დაცულ დისერტაციებთან კითხვებს აჩენს.

ინტერვიუების დროს ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით უნივერსიტეტის საკონკურსო პირობებში უკვე ჩადებული აქვს მსგავსი პირობა, რაც მომავალშო ხელს შეუწყობს პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისაობას.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტური პროექტიების დაფინანსების პროგრამა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალური მეცინერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს აქვთ რეგულარული კონსულტაციები ხელმძღვანელებთან კვლევით პროცესთან დაკავშურებით, ასევე კვლევის დიზაინის, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესის, ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები. თუმცა, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პროგრამის დოკუმენტებიდან, ინტერვიუებიდან და წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომების ჩამონათვალიდან ირკვევა, რიგ შემთხვევაში დოქტორანტებს სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევს აკადემიური პერსონალი, რომელთა სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება მწირია საკვლევი საკითხის მიმართულებით.

რაც შეეხება პერსონალის წარმოდგენილი CV-ების და ბოლო წლებში გამოქვეყნებული შრომების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავდა იმისა, რომ აკადმიური და მოწვეულ პერსონალს უხვად აქვს გამოქვეყნებული ნაშორმები, მონოგრაფიები და საკონფერენციო მასალები, იგრძნობა უცხო ენაზე გამოქვეყნებული კვლევითი ნაშრომების ნაკლებობა, მხოლოდ ერთეულ აკადემიურ პერსონალს, ძირითდად მოვწეულ პერსონალს აქვს საერთაშირისო კვლევითი პუბლიკაციები, რას შეიძალება ითქვას რომ არის ამ პროგრამის, როგორც სადოქტორო პროგრამის გამოწვევა. უნივერსიტეტი ფინანსურად უზრუნველყოფს და ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშრომების და სხვა ბეჭდური მასალის ქართულ ენაზე გამოქვეყნებას. ამასთან, პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტში ნათლად არის წარმოდგენილი ხარჯვითი ნაწილი, დამაკმაყოფილებია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

რაც შეეხება სტანდარტებს №1, №2, №4, №5 მოთხოვნებთან მათი შესაბამისობა ნაწილობრივია. სადოქტორო პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია უსდ-ის მიზნებთან და ორიენტირებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კურდამთავრებულების მომზადებაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიზნები ფორმულირებულია საკმაოდ ზოგადად, ("მაღალკვალიფიციური აკადემიური კადრი", "მოწინავე სოციალურ-მეცნიერული ცოდნასა და ანალიტიკურ კვლევითი უნარები", შესაბამისად ნაკლებად ასახავს, თუ კონკრეტულად რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა;

კითხვები ჩნდება ასევე, პროგრამის მიზანის ცალკეული ნაწილის რეალისტურობასა და მიღწევასთან დაკავშირებით. პროგრამის დოკუმენტაციებიდან, ასევე, ინტერვიუებიდან დამსაქმებლებთან ჩანს, რომ უკუკავშირის მისაღებად პროგრამა თანამშრომლობდა დამსაქმებლებთან. თუმცა, საბაზრო მოთხოვნების კვლევისთვის შერჩეული მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი, ასევე შერჩევის მოდელი (არარეპრეზენტატული) არ არის გამართული და არ პასუხობს ამ სპეციფიკის კვლევის სტანდარტს. მნიშვნელოვანია, რომ სადოქტორო პროგრამა, მის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებით.

სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, ასევე, მასზე თანდართული დოკუმენტაციისთანახმად მტკიცდება, რომ ფორმულირებულ სწავლის შედეგებში განსაზღვრულია საკვანძო მიმართულებები, რომელიც შესაბამისი კვალიფიკაციიათვის საჭირო უნარების გამომუშავებას უზრუნველყოფს; თუმცა, ამასთანავე კითხვები ჩნდება ზოგიერთი სწავლის შედეგის მიღწევასთან დაკავშირებით.
წარმოდგენილი დოკუმენტაციებით თვალსაჩინოა, რომ განხორციელდა პროგრამის შეფასება სხვადასხვა არაპირდაპირი მეთოდოლოგიით. მათ შორის, კურსდამთავრებულების, დოქტორანტების, პედაგოგების, პერსონალის გამოკითხვა უკუკავშირის მიღების მიზნით. ინტერვიუებიდან ასევე თვალსაჩინო გახდა, რომ გამოკითხვის შედეგების გაანალიზების შედეგად განხორციელდა ცვლილებები პროგრამაში შედეგების გაუმჯობესების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულწილად კითხვებს აჩენს კვლევის დიზაინი და მეთოდი, რომლითაც ხორციელდება აღნიშნული კვლევა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და ითვალისწინებს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაზე მიღებას. თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საჯაროდ, თუ რა კრიტერიუმებით მოხდება აპლიკანტის შეფასება გასაუბრებაზე,

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას რამდენიმე საკითხს; მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები კვლევის მეთოდოლოგიის სწავლების მიმართულებით (სოციალური კვლევის მეთოდების კურსის გახდა 10 კრედიტიანი), რაც დასტურდება დოკუმენტებითა და ინტერვიუებით, სოციალური კვლევის მეთოდების კურსი (მითუფრო შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტების გარეშე) არ იძლევა საკმარის საფუძველს სადოქტორო საფეხურის შესაბამისი კვლევითი უნარების განვითარებისთვის. სადოქტორო პროგრამის კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; გარდა ამისა, სასწავლო კურსებში ხდება თემების დუბლირება და გადაფარვა.

როგორც თვითშეფასების აღწერის, ასევე, დამატებითი დოკუმენტებისა და აკადემიურ პროცესში ჩართულ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის წილი, რომელიც ხელს უწყობს დოქტორანტის მიერ კვლევის მეთოდების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამომუშავებას და გამოყენებას, მნიშვნელოვნად დაბალია.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაანალიზებული თითოეული სტანდარტი, რეკომენდაცია თუ რჩევა კონკრეტული ქვესტანდარტების შესაბამისადაა წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამას "სოციალური მეცნიერებები" განვითარებაში დაეხმარება.

რეკომენდაციები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია-ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის - "სოციალური მეცნიერებები" აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების საფუძველზე, ექპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები, როემელიც პროგრამას დაეხმარება განვითარებაში.

ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები სტანდარტების კონკრეტული კომპონენტების შესაბამისად.

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები

- რეკომენდებულია მიზნები ფორმულირებული იყოს ისე, რომ ჩანდეს კონკრეტულად რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა;
- რეკომენდებულია დასაქმების ბაზარზე არსებული მოთხოვნების კვლევისთვის გამართული მეთოდოლოგიის შემუშავება;

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- რეკომენდებულია 1, 3 და 4 სწავლის შედეგების გაზომვისა და შეფასებისთვის განისაზღვროს შესაბამისი მეთოდები და კრიტერიუმები სილაბუსებში; (მაგალითად, ინდივიდუალური კვლევა - სოციალური კველვის მეთოდების კურსში - სპეციფიურად ჩაშლილი შეფასების კრიტერიუმებით).
- რეკომენდებულია პროგრამის შედეგების შეფასების კვლევისთვის გამართული მეთოდოლოგიის შემუშავება;

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- არაკლასიფიცირებული კვალიფიკაციის ხასიათიდან გამომდინარე რეკომენდებულია პროგრამამ დოქტორანტს შესთავაზოს სოციალური მეცნიერებების ფართო სპექტრის მეთოდოლოგიების სასწავლო კურსები, თუნდაც, არჩევითი კურსების სახით (მაგალითისთვის ფსიქოლოგიის კვლევითი მიმართულები ექსპერიმენტული მეთოდოლოგია და ა.შ.).
- რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმს დაემატოს თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამის კურსი (მაგ. NVivo, Atlas ti ან სხვა) და მონაცემთა ანალიზისა და დამუშავების ინტენსიური კურსები;
- რეკომენდებულია, სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა მრავალფეროვანი გახდეს და სრულად დაფაროს სილაბუსით განსაზღვრული თემატიკა; სილაბუსებს უნდა დაემატოს ახალი კვლევის შედეგებისა და სფეროს თანამედროვე მიღწევების ამსახველი ლიტერატურა;
- რეკომენდებულია, რომ პროგრამაში ნათლად იყოს ჩამოყალიბებული კვლევის სფეროები, რომლის ფარგლებშიც პროგრამა შეძლებს, რომ სტუდენტების მოლოდინები დააკმაყოფილოს შესაბამისი სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების უზრუნველყოფით და პროგრამის კვლევის სფეროების შესახებ ინფორმაცია საჯარო უნდა იყოს დაინტერესებული პირებისთვის.
- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის (იგულისხმება ძირითადი და არა მოწვეული) და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების შერჩევისას გათვალისწინებული იქნას სოციალური მეცნიერებების მიმართულებით კვლევითი გამოცდილება და საერთაშორისო პუბლიკაციები სამეცნიერო ჟურნალებში.

2.3. სასწავლო კურსი

- პროგრამის მიერ დასახული მე-5 შედეგის სრულყოფილად მიღწევის მიზნით რეკომენდებულია კურსის - *"სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა"* ფარგლებში სოციალური მეცნიერებების თეორიული კომპონენტის დამატება;
- კურსის - „სოციალური კვლევის მეთოდები"- შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები რეკომენდებულია გულისხმობდეს კვლევითი პროექტის დაგეგმვას და განხორციელებას დოქტორანტის მიერ.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში, სავალდებულო ლიტერატურაში გათვალისწინებული იქნას სფეროს აქტუალურ მიღწევები და უახლეს კვლევები;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში თემების დუბლირებისა და თემატური გადაფარვის თავიდან არიდების მიზნით კურსში - *"სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა"* არ გამეორდეს სასწავლო კურსის -*"სოციალური კვლევის მეთოდები"* თემატიკას, როგორიცაა კვლევის მნიშვნელობა, მიზნები, მეთოდოლოგია; კვლევის მეთოდი, პროცესი; კვლევის ეთიკა;

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

- რეკომენდებულია შედეგის სრულყოფილად მიღწევისთვის პროგრამის სასწავლო კურსებში/სემინარებში და სხვა აკადემიურ აქტივობებში პრაქტიკული (კვლევითი) კომპონენტის გაძლიერება.
- რეკომენდებულია, თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება სოციალური კვლევის ორგანიზაციებთან და მსგავსი მიმართულების მქონე (პროფილის) დაწესებულებებთან (ფსიქოლოგიის შემთხვევაში სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან), რაც დოქტორანტს დაეხმარება სოციალური მეცნიერებების მიმართულებით პრაქტიკული /კვლევითი უნარების გამომუშავებაში, ასევე, კვლევით პროექტებში აქტიურად ჩართვაში.

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები

- რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევითი მეთოდების სწავლება ემპირიული კვლევის პრაქტიკული განხორციელებით.

2.6. სტუდენტების შეფასება

- რეკომენდებულია, ჩამოყალიბებული იქნას კოლოქვიუმის განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები.
- პროგრამაში დასახული მიზნების სრულყოფილად მიღწევის მიზნით რეკომენდებულია კურსის "სოციალური კვლევის მეთოდები" სილაბუსში პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოიცავდეს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას (მაგ. ემპირიული კვლევა), რათა შესაბამისობაში იყოს კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოს მათი მიღწევა;

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- პროგრამის დასახული მიზნების სრულყოფილად განხორციელების მიზნით რეკომენდებულია დოქტორანტებს სამეცნიერო ხელმძღვანელობა გაუწიოს აკადემიურმა პერსონალმა, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება;

- რეკომენდებულია, პროგრამამ გაითვალისწინოს სტუდენტთა კვლევითი ინტერესები და მიზანშეწონილია გონივრული თანაფარდობა იყოს დაცული დოქტორანტებსა და ისეთ სამეცნიერო გამოცდილების მქონე ხელმძღვანელებს შორის, რომელთაც გააჩნიათ სანათანადო კომპეტენცია სოციალურ მეცინერებების კვლევის სფეროებში.

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 ადამიანური რესურსი

- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელების შერჩევისას გათვალისწინებული იქნას შესაბამისი მიმართულების კვლევითი გამოცდილება და საერთაშორისო პუბლიკაციები სამეცნიერო ჟურნალებში;
- რეკომენდებულია, პროგრამას ახორციელებდეს სოციოლოურ მეცნიერებებში კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი (იგულისხმება ძირითადი და არა მოწვეული), რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, მათ შორის ბალანსი და დატვირთვა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის მდგრადობა.

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- რეკომენდებულია, უსდ-მ გაითვალისწინოს აკადემიური პერსონალის კვლევების ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნა; პროგრამამ დააკმაყოფილოს საერთაშორისო პულიკაციების ფინანსური მხარდაჭერა;

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

- რეკომენდებულია ხარისხის სამსახური არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფორმალური მექანიზმების არსებობით და უფრო გააქტიურდეს

ურთიერთთანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან, რათა რეალურად იყოს ორიენტირებული პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაზე და პროგრამის განვითარების გზების დასახვაზე.

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავოს პროგრამაზე დაკვირვების სათანადო კრიტერიუმები და ინდიკატორები, რათა მონიტორინგის ფარგლებში მეტად იყოს გამახვილებული ყურადღება პროგრამის მახასიათებლებზე, განსაკუთრებით პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათის გათვალისწინებით, სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელებისა და განმახორციელებელი პერსონალის შესაბამისობის მიმართულებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია-ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის - "სოციალური მეცნიერებები" აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების საფუძველზე, ექპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რჩევები, რომელიც პროგრამას დაეხმარება განვითარებაში.

ქვემოთ წარმოდგენილია რჩევები სტანდარტების კონკრეტული ქვესტანდარების შესაბამისად:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები

- სასურველია, პროგრამამ გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის პროცესი და შესაბამისი აქტივობებით დატვირთოს დოქტორანტის სამეცნიერო მუშაობა (მათ შორის, ხელი შეუწყოს საერთაშორისო აკადემიურ ქსელში დოქტორანტის ინტეგრაციას, უცხოელი პროფესორის/მკვლევარის თანახელმძღვანელობის შესაძლებლობას, საერთაშორისო მკლევარებთან კვლევით პროექტებში თანამშრომლობას და პუბლიკაციებზე თანაავტორობას).

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- სასურველია წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია საჯაროდ, თუ რა კრიტერიუმებით მოხდება აპლიკანტის შეფასება გასაუბრებაზე.

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- სასურველია სადოქტორო პროგრამაში დასახული მიზნების სრულყოფილად განხორციელებისთვის, სასწავლო კურსებს დაემატოს თეორიისა და კვლევის სინთეზირების მიმართულებით ინტენსიური კურსები;

2.3. სასწავლო კურსი

- სასურველია სილაბუსებში თვალსაჩინოდ იყოს მითითებული თემატიკა;

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.3 მატერიალური რესურსი

- სასურველია, თვისებრივი კვლევების განხორციელებისათვის, პროგრამის რესურსებში დაემატოს მონაცემების ანალიზის NVivo-ს (ან სხვა ალტერნატიული კომპიუტერული პროგრამების) პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფა;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამის მიზანი გარკვეულწილად შეესატყვისება უსდ-ის მისიას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიზნები ფორმულირებულია საკმაოდ ზოგადად (“მაღალკვალიფიციური აკადემიური კადრი”, “მოწინავე სოციალურ-მეცნიერული ცოდნასა და ანალიტიკურ კვლევითი უნარები”, დანართი 1), შესაბამისად, ნაკლებად ასახავს, თუ კონკრეტულად რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა; კითხვები ჩნდება ასევე პროგრამის მიზანის ცალკეული ნაწილის რეალისტურობასა და მიღწევასთან დაკავშირებით. როგორც პროგრამის აღწერის, ისე, თვითშეფასების დოკუმენტში სადოქტორო პროგრამის მიზანად დასახულია სოციალური მეცნიერებების მიმართულებით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო სფეროსა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისთვის. ამ მიზნის განსახორციელებლასდ პროგრამა მნიშვნელოვნად საჭიროებს სტრუქტურის გაძლიერებას(იხ. 2.2. სტანდარტი) საგანმანათლებლო პოგრამის მისაიჭებელი კვალიფიკაცია არის სოციალური მეცნიერებების დოქტორი, პროგრამის სწავლის სფერო არის არაკლასიფიციებული სფერო - 0319, რომელიც შედის 031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებების ვიწრო სფეროში.

პროგრამის აღწერისა და თვითშეფასების დოკუმენტებში კითხვები ჩნდება პროგრამის ინტერდისციპლინური მიზნის მიღწევასთან დაკავშირებით, რომელიც განსხვავებით კლასიფიცირებული სადოქტორო პროგრამებისაგან, შესაბამისი, ფართო სპექტრის მიმართულებით თეორიულ და კვლევით კომპონენტებს მოიაზრებს, რაც არ არის ასახული პროგრამის კურიკულუმში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული უნდა იქნას მისი არაკლასიფიცირებული მიმართულება.

პროგრამის საკვლევი (დისერტაციების) თემატიკა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ვერ პასუხობს არაკლასიფიცირებულ კვალიფიკაციას და არ მოიცავს შესაბამის მიმართულებებს, რომელიც გათვალისწინებულია დეტალური სფეროს ფარგლებში. ამასთან, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი და სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელები არ ფლობენ შესაბამისი მიმართულებით კვლევით გამოცდილებას და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ გააჩნიათ საერთაშორისო პუბლიკაციები.

პროგრამის მიზნები და მათი რეალისტურობა კითხვის ნიშნებს აჩენს იმ მიმართულებით, რომელიც საერთაშორისო სამეცნიერო სფეროსა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისთვის მაღალკვალიფიციური აკადემიური კადრების მომზადებას გულისხმობს. პროგრამა ამ მიმართულებით საჭიროებს გაძლიერებას (უფრო დეტალურად იხ. 4.1. და 3.2.)

პროგრამის მიერ დამატებით წარმოდგენილ არგუმენტებში ნათლად ჩანს ინტერნაციონალიზაცის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები, მათ შორის, სემინარები, ლექციები, საზაფხულო სკოლები და სხვ. საერთაშორისო მკველვარებისა და პროფესორების ჩართულობით. სასურველია, პროგრამამ გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის პროცესი და შესაბამისი აქტივობებით დატვირთოს დოქტორანტის სამეცნიერო მუშაობა (მათ შორის, ხელი შეუწყოს საერთაშორისო აკადემიურ ქსელში დოქტორანტის ინტეგრაციას, უცხოელი პროფესორის/მკვლევარის თანახელმძღვანელობის შესაძლებლობას, დოქტორანტების საერთაშორისო მკლევარებთან კვლევით პროექტებში თანამშრომლობას და პუბლიკაციებზე თანაავტორობის შესაძლებლობას.)

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შეფასებისას გამოვლინდა უზუსტობები თვითშეფასების დოკუმენტში აღწერილი პროგრამის კურსებსა (თვითშეფასება, გვ. 9) და დანათში წარმოდგენილი - "დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის" დოკუმენტში აღწერილ პროგრამის საგნობრივ დატვირთვას შორის; თვითშეფასების დოკუმენტში მითითებული კურსები არ არის შესული პროგრამის აღწერის დოკუმენტში

პროგრამის დოკუმენტაციებიდან, ასევე, ინტერვიუებიდან დამსაქმებლებთან ჩანს, რომ უკუკავშირის მისაღებად პროგრამა თანამშრომლობდა დამსაქმებლებთან. თუმცა, საბაზრო მოთხოვნების კვლევისთვის შერჩეული მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი, ასევე შერჩევის მოდელი (არარეპრეზენტატული) არ არის გამართული და არ პასუხობს ამ სპეციფიკის კვლევის სტანდარტს. სადოქტორო პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის აღწერა; • თვითშეფასების ანგარიში; • კურიკულუმის რუქა; • კურსების სილაბუსები; • სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური მეცნიერებები“; • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები http://gtu.ge/AboutStu/Mission.php • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ, http://social.gtu.ge/uploads/files/strategiuli_ganvitarebis_gegma/strategiuli_ganvitarebis_gegma.pdf?lang =ge • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება, http://social.gtu.ge/uploads/files/debuleba/fakultetis_debuleba.pdf • საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების სამწლიანი გეგმა, http://social.gtu.ge/uploads/files/str_gegma.pdf?lang=ge • სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია მიზნები ფორმულირებული იყოს ისე, რომ ჩანდეს კონკრეტულად რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა; • რეკომენდებულია დასაქმების ბაზარზე არსებული მოთხოვნების კვლევისთვის გამართული მეთოდოლოგიის შემუშავება;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამამ გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის პროცესი და შესაბამისი აქტივობებით დატვირთოს დოქტორანტის სამეცნიერო მუშაობა (მათ შორის, ხელი შეუწყოს საერთაშორისო აკადემიურ ქსელში დოქტორანტის ინტეგრაციას, უცხოელი პროფესორის/მკვლევარის თანახელმძღვანელობის შესაძლებლობას, საერთაშორისო მკლევარებთან კვლევით პროექტებში თანამშრომლობას და პუბლიკაციებზე თანაავტორობის შესაძლებლობას.)

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, ასევე, მასზე თანდართული დოკუმენტაციისთანახმად მტკიცდება, რომ ფორმულირებულ სწავლის შედეგებში განსაზღვრულია საკვანძო

მიმართულებები, რომელიც შესაბამისი კვალიფიკაციისათვის საჭირო უნარების გამომუშავებას ნაწილობრივ უზრუნველყოფს; კითხვები ჩნდება ზოგიერთი სწავლის შედეგის მიღწევასთან დაკავშირებით. მაგალითად, *„ინოვაციური მეთოდოლოგიური სინთეზირების“* შედეგზე გასვლა (შედეგი 1) მხოლოდ თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების (მხოლოდ მონაცემთა მოპოვება იგულისხმება) სწავლების საფუძველზე არ არის რეალისტური. ასევე იმ პირობებში, როდესაც კურუკულუმში *„თვისებრივი მონაცემების ანალიზის მეთოდები“*-ს კურსის არ არსებობს.

მე-5 შედეგი გულისხმობს ჩატარებული თეორიული და ემპირიული კვლევის საფუძველზე აკადემიური მუშაობის განხორციელებას. როგორც კურიკულუმის, თვითშეფასების და სხვა დოკუმენტებიდან, ასევე ინტერვიუებიდან დგინდება სავალდებულო კურსებში არ არის სოციალური მეცნიერებების უახლესი თეორიული და კვლევითი სინთეზირების მიმართულებით კურსი/სემინარი, რომელიც შესაბამის ცოდნასა და უნარებს გადასცემს დოქტორანტს და გაიყვანს დასახულ შედეგზე.

პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, და მიზნად ისახავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. შემუშავებულია სამიზნე ნიშნულების სისტემა, რომელიც თითოეული სწავლის შედეგისთვის საორიენტაციო ზღვარს განსაზღვრავს. სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, ასევე, მასზე თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამა ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასებას და მონიტორინგს, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდოლოგიით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციებით თვალსაჩინოა, რომ განხორციელდა პროგრამის შეფასება სხვადასხვა არაპირდაპირი მეთოდოლოგიით. მათ შორის, კურსდამთავრებულების, დოქტორანტების, პედაგოგების, პერსონალის გამოკითხვა უკუკავშირის მიღების მიზნით. ინტერვიუებიდან ასევე თვალსაჩინო გახდა, რომ გამოკითხვის შედეგების გაანალიზების შედეგად განხორციელდა ცვლილებები პროგრამაში შედეგების გაუმჯობესების მიზნით.
უნდა აღინიშნოს, რომ კითხვებს აჩენს კვლევის დიზაინი და მეთოდი, რომლითაც ხორციელდება აღნიშნული კვლევა. მაგალითად, კვლევა არ იყენებს თვისებრივ მეთოდოლოგიას მცირე რაოდენობის (შერჩევის) ჯგუფში (23 რესპონდენტი), ან როგორც დამხმარე მეთოდს რაოდენობრივ კვლევაში.

გარკვეული წინააღმდეგობები იქმნება სწავლის შედეგების გაზომვასთან მიმართებაში. მაგალითად, კითხვები ჩნდება, თუ რა მეთოდებით ხდება

სწავლის შედეგების -1, 3, 4, გაზომვა სასწავლო კურსის - *სოციალური კვლევის მეთოდები* - ფარგლებში. სილაბუსში მითითებული შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები არ აჩვენებს ექსპლიციტურად თუ როგორ ხდება ამ შედეგის გაზომვა. სილაბუსში მითითებულ შეფასების ფორმებსა და მეთოდში (მათ შორის წერითი გამოკითხვა, პრეზენტაცია, აქტივობა) არ არის გათვალისწინებული შეფასების ის ფორმა/მეთოდი, რომელიც გაზომავდა 1, 3 და 4 სწავლის შედეგებს შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით (მაგალითად, ინდივიდუალური კვლევითი პროექტი). რამდენადაც პროგრამის მიზნები არ ასახავს კონკრეტულად რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა, შესაბამისად გადახედვას და მიზნების შესაბამისად განსაზღვრას საჭიროებს პროგრამაში ფორმულირებული შედეგებიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; • სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები); • თვითშეფასების ანგარიში; • თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის სამსახურთან ინტერვიუს შედეგები; • დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; • სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №№01-05-04/261 დადგენილება„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“; • სტუ-საკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის №2691 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“; • საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდი http://social.gtu.ge/?lang=ge.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია 1, 3 და 4 სწავლის შედეგების გაზომვისა და შეფასებისთვის განისაზღვროს შესაბამისი მეთოდები და კრიტერიუმები სილაბუსებში; (მაგალითად, ინდივიდუალური კვლევა - სოციალური კველვის მეთოდების კურსში - სპეციფიურად ჩაშლილი შეფასების კრიტერიუმებით). • რეკომენდებულია პროგრამის შედეგების შეფასების კვლევისთვის გამართული მეთოდოლოგიის შემუშავება;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამაზე მიღება ხდება წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების საფუძველზე. კერძოდ, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება ენიჭება პირს, რომელიც მაგისტრის კვალიფიკაციას ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს (სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ფართო სფეროს 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია). პროგრამაზე დაინტერესებული პირის ჩარიცხვისას მხედველობაში მიიღება მისი სამეცნიერო პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, ასევე, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები, როგორიცაა სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და სხვ. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ევალება წარმოადგინოს კვლევითი პროექტი, რომელშიც ასახულია აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება; ასევე, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი, ან უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. დაინტერესებულ პირს, რომელსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ენაზე, სერტიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება. ენის გამოცდაში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში აპლიკანტი გასაუბრებას გაივლის საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები

განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://gtu.ge/Science/doctorantura.php. ასევე, პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდის საშუალებით. http://social.gtu.ge/uploads/files/edu_programs/doc/socialuri_mecnierebebi.pdf . პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და ითვალისწინებს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაზე მიღებას კომისიური წესით. თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საჯაროდ, თუ რა კრიტერიუმებით მოხდება აპლიკანტის შეფასება გასაუბრებაზე, რასაც ითვალისწინებს სტანდარტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების სამართლიანობის, საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური მეცნიერებები“ • „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 დეკემბრის №199/ნ ბრძანება; • სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის №198 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php • სტუ-ს აკადემიური საბჭოს აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/2 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა დამობილობის ინსტრუქცია”; • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი http://gtu.ge/Science/doqt_charicxvis_pirobebi_2019.php?sphrase_id=282764; ფაკულტეტის ვებგვერდი http://social.gtu.ge/?lang=ge • აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად ინტერვიურების დროს მიღებული ინფორმაცია;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია საჯაროდ, თუ რა კრიტერიუმებით მოხდება აპლიკანტის შეფასება გასაუბრებაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია ესკდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის "შესაბამისად. პროგრამა პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას რამდენიმე საკითხს; მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები კვლევის მეთოდოლოგიის სწავლების მიმართულებით (სოციალური კვლევის მეთოდების კურსის გახდა 10 კრედიტიანი), რაც დასტურდება დოკუმენტებითა და

ინტერვიუებით, სოციალური კვლევის მეთოდების კურსი (მითუფრო შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტების გარეშე) არ იძლევა საკმარის საფუძველს სადოქტორო საფეხურის შესაბამისი კვლევითი უნარების განვითარებისთვის. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ სილაბუსის თემების უმეტესობა ეთმობა ეპირიული მონაცემების მოპოვების მეთოდებს, რომლის შესახებაც ცოდნა უნდა გააჩნდეს პროგრამის აპლიკანტს სოციალური მეცნიერებების სამაგისტრო სწავლების საფეხურიდან. კურსი არ იძლევა თითოეულ გავლილ მეთოდში (მონაცემების ანალიზი) პრაქტიკული დავალებების შესრულების შესაძლებლობას. სადოქტორო საფეხურის შესაბამისი შედეგების მიღწევისთვის კვლევის მეთოდების სწავლება მონაცემთა ანალიზის მიმართულებით გაძლიერებულ მუშაობას უნდა ითვალისწინებს. მოცემული კურსის ფარგლებში კი კონკრეტული მიმართულებით ანალიზის მეთოდს მხოლოდ ერთი ან ორი ლექცია ეთმობა, რაც თავისთავად საეჭვოს ხდის დასახული შედეგების მიღწევის რეალისტურობას.

გარდა ამისა, პროგრამა ასევე არ ითვალისწინებს თვისებრივი მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის კომპიუტერული პროგრამის NVivo-ს სწავლებას.

არაკლასიფიცირებული ხასიათიდან გამომდინარე პროგრამა უნდა სთავაზობდეს დოქტორანტს სოციალური მეცნიერებების ფართო სპექტრის მეთოდოლოგიების (ინტენსიურ) სასწავლო კურსებს, თუნდაც, არჩევითი კურსების სახით. მაგალითად, დაცული სადისერტაციო ნაშრომებიდან ჩანს, რომ ფსიქოლოგიის მიმართულებით განხორციელდა სამეცნიერო კვლევები. შესაბამისად, ამ მიმართულებით სპეციფიური მეთოდოლოგიური კურსების შეთავაზება არ მომხდარა დოქტორანტებისთვის.

პროგრამაში არ არის გათვალისწინებული თეორიული კომპონენტის სწავლება, რაც შესაბამისი იქნებოდა ამ უკანასკნელის არაკლასიფიცირებული შინაარსის. შესაბამისად, ეს კითხვებს აჩენს პროგრამის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით მე-3 შედეგის, რომელიც კრიტიკულ ანალიზის და ანალიტიკური ხედვების განვითარებას გულისხმობს;

პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებს, სამ ძირითად სასწავლო კურსს არ გააჩნია დაშვების წინაპირობები და ყველა მათგანი ისწავლება პირველ სასწავლო წელს. შესაბამისად, გაურკვეველია, როგორ ხდება კურსებს შორის ლოგიკური თანმიმდევრობის განსაზღვრა.

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ძირითადად, როგორც სავალდებულო, ისე დამატებითი, წარმოდგენს სასწავლო ან დარგობრივ სახელმძღვანელოებს და არ ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებსა და

სფეროს თანამედროვე მიღწევებს; მაგალითად, კურსი - „სოციალური კვლევის მეთოდები„ - მხოლოდ სამი ავტორის სახელმძღვანელოს მოიცავს (სავალდებულო), რომელიც არ ფარავს სილაბუსით განსაზღვრულ თემატიკას. ამასთან, არ არის გათვალისწინებული ახალი კვლევის შედეგებსა და სფეროს თანამედროვე მიღწევები ლიტერატურაში (როგორც სავალდებული ისე, დამატებითი).

პროგრამის არაკლასიფიცირებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამაში არსებული კომპონენტების შინაარსობრივ მხარეს, პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და დოქტორანტურის საფეხურის შესაბამის დონეს. ოთხი სასწავლო კომპონენტიდან მხოლოდ ერთს გააჩნია წინაპირობა. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება მათ შორის თანმიმდევრულობის ლოგიკის განსაზღვრა და შეფასება.

ინტერვიუს დროს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მიერ მრავალჯერ გაესვა ხაზი ფაქტს, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვნენ და უკუკავშირი არსებობს ყველა დაინტერესებული მხარისგან პროგრამასთან დაკავშირებით.

თუმცა, დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ დამსაქმებლისთვის მნიშვნელოვანია სოციალური მეცნიერების დოქტორი ფსიქოლოგიაში მიღებულ იქნას საკონსულტაციოდ და დიაგნოსტიკურ სფეროში სამუშაოდ, რაც მოცემული პროგრამის ფარგლებში ძნელად წარმოსადგენია, რადგანაც პროგრამაში არ არის ჩართული აკადემიური პერსონალი, რომელსაც ამ მიმართულებით აქვს კვლევები და გარდა ამისა, პროგრამა ვერ აკმაყოფილებს პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის დარგის გამოწვევებს.

უნდა აღინიშნოს, რომ უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი“
- საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური მეცნიერებები“;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები).
- აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია;
- ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია პროგრამის შესახებ: http://social.gtu.ge/uploads/files/edu_programs/doc/socialuri_mecnierebebi_doc_geo.pdf

რეკომენდაციები:

- არაკლასიფიცირებული კვალიფიკაციის ხასიათიდან გამომდინარე რეკომენდებულია პროგრამამ დოქტორანტს შესთავაზოს სოციალური მეცნიერებების ფართო სპექტრის მეთოდოლოგიების სასწავლო კურსები, თუნდაც, არჩევითი კურსების სახით (მაგალითისთვის ფსიქოლოგიის კვლევითი მიმართულები ექსპერიმენტული მეთოდოლოგია და ა.შ.).
- რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმს დაემატოს თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამის კურსი (მაგ. NVivo, Atlas ti ან სხვა) და მონაცემთა ანალიზისა და დამუშავების ინტენსიური კურსები;
- რეკომენდებულია, სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა მრავალფეროვანი გახდეს და სრულად დაფაროს სილაბუსით განსაზღვრული თემატიკა; სილაბუსებს უნდა დაემატოს ახალი კვლევის შედეგებისა და სფეროს თანამედროვე მიღწევების ამსახველი ლიტერატურა;
- რეკომენდებულია, რომ პროგრამაში ნათლად იყოს ჩამოყალიბებული კვლევის სფეროები, რომლის ფარგლებშიც პროგრამა შეძლებს, რომ სტუდენტების მოლოდინები დააკმაყოფილოს შესაბამისი სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების უზრუნველყოფით და პროგრამის კვლევის სფეროების შესახებ ინფორმაცია საჯარო უნდა იყოს დაინტერესებული პირებისთვის.
- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის (იგულისხმება ძირითადი და არა მოწვეული) და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების შერჩევისას გათვალისწინებული იქნას სოციალური მეცნიერებების მიმართულებით კვლევითი გამოცდილება და საერთაშორისო პუბლიკაციები სამეცნიერო ჟურნალებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სადოქტორო პროგრამაში დასახული მიზნების სრულყოფილად განხორციელებისთვის, სასწავლო კურსებს დაემატოს თეორიისა და კვლევის სინთეზირების მიმართულებით ინტენსიური კურსები;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; კურსის ფარგლებში სწავლის თითოეული შედეგის მიღწევა ჩაშლილი შეფასების კრიტერიუმებით ფასდება.

კომპეტენციების რუქაზე დაყრდნობით პროგრამის მე-5 შედეგზე *("ამზადებს ჩატარებული თეორიული და ემპირიული კვლევის საფუძველზე, საკვლევი თემატიკის შესაბამის სასწავლო-მეთოდურ მასალებს და ახდენს მათ სათანდო ინტერპრეტაციასა და პრეზენტაციას";)* გადის რამდენიმე კურსი. აქედან, კურსის - "სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა" შემთხვევაში ბუნდოვანია, თუ როგორც ხდება დასახულ შედეგზე გასვლა. მაგალითად, კურსი არ ითვალისწინებს სოციალური თეორიის კომპონენტს, ასევე, არ ითვალისწინებს ემპირიული და თეორიული კვლევის განხორციელებას. იგივე წინააღმდეგობა ჩნდება კურსის - 'სწავლების მეთოდები' - ფარგლებში. როგორც კურიკულუმის რუქიდან ირკვევა, კურსი გადის შედეგზე: "იყენებს რელევანტურ მეთოდოლოგიასა და ემპირიული კვლევის შედეგებს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, სამეცნიერო ნაშრომების, კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და შესრულებისას;" კურსის ფარგლებში როგორ ფასდება და

მოწმდება აღნიშნული შედეგი, ანუ, კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და შესრულებისას რამდენად ხდება რელევანტური მეთოდოლოგიის გამოყენება? შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები არ გულისხმობს კვლევითი პროექტის დაგეგმვას და განხორციელებას დოქტორანტის მიერ. სილაბუსში მითითებული შეფასების მეთოდები მოიცავს რეფერატს(ნაშრომი), მის პრზენტაციას, დისკუსიას, ღიადაბოლოვებიან ტესტს, რომელითაც მოწმდება განვლილი მასალის ცოდნა.

ასევე, უნდა აღინიშნოს პროგრამის სწავლის შედეგებში მითითებული შედეგი 2, რომელიც გულისხმობს დაგეგმვას და დამოუკიდებლად რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებით სოციალურ კვლევის განხორციელებას, ისევე, როგორც ანალიტიკური მიდგომების ინოვაციური სინთეზით, რომელზეც კომპეტენციების რუქის თანახმად გადის კურსი - *სოციალური კვლევის მეთოდები.* აღნიშნულ კურსი არ ითვალისწინებს პრაქტიკულ სამუშაოებს, კერძოდ, კვლევის დაგეგმვას და განხორციელებას. ასევე, ამ კურსის ფარგლებში არ ისწავლება თვისებრივი მონაცემების დამუშავების კომპიუტერული პროგრამა NVivo, რაც საჭიროა ასევე, თვისებრივი კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემების დამუშავებისა და სინთეზირებისათვის (მათ შორის, ასევე, შედეგების სათანადოდ პრეზენტაციისათვის).

გარდა ამისა, სასწავლო კურსებში ხდება თემების დუბლირება და გადაფარვა. მაგალითად, კურსი "სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა" იმეორებს სასწავლო კურსის - "სოციალური კვლევის მეთოდები" თემატიკას, კერძოდ, 2 ლექციის/სემინარის თემატიკა ეთმობა 'სოციალური კვლევის მეთოდების' კურსის თემებს, როგორიცაა - კვლევის მნიშვნელობა, მიზნები, მეთოდოლოგია; კვლევის მეთოდი, პროცესი; კვლევის ეთიკა;

რაც შეეხება სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას, უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტის 2.3. შესაბამისად სავალდებულო ლიტერატურა არ შეესაბამება მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს; ასევე არ ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში/დარგში რაც აჩენს კითხვას პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან მიმართებაში", მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო საფეხურის შესაბამისად გათვალისწინებული იქნას მათი გამდიდრება კვლევებზე დაფუძნებული უახლესი ლიტერატურით. სილაბუსებში ასევე არ არის თვალსაჩინოდ მითითებული სავალდებულო ლიტერატურის გვერდები. სასურველია ამ ინფორმაციის დამატება სილაბუსში, რაც დოქტორანტს დაეხმარება უფრო ეფექტურად დაგეგმოს სწავლის პროცესი და სათანადოდ ორიენტირდეს შესასრულებელი დავალებების განხორციელებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი“;
- საგანმანათლებლო პროგრამა„სოციალური მეცნიერებები“;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია;

რეკომენდაციები:

- პროგრამის მიერ დასახული მე-5 შედეგის სრულყოფილად მიღწევის მიზნით რეკომენდებულია კურსის - *“სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა”* ფარგლებში სოციალური მეცნიერებების თეორიული კომპონენტის დამატება;
- კურსის - „სოციალური კვლევის მეთოდები“ - შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები რეკომენდებულია გულისხმობდეს კვლევითი პროექტის დაგეგმვას და განხორციელებას დოქტორანტის მიერ.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში, სავალდებულო ლიტერატურაში გათვალისწინებული იქნას სფეროს აქტუალურ მიღწევები და უახლეს კვლევები;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში თემების დუბლირებისა და თემატური გადაფარვის თავიდან არიდების მიზნით კურსში - *“სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა”* არ გამეორდეს სასწავლო კურსის -*“სოციალური კვლევის მეთოდები”* თემატიკას, როგორიცაა კვლევის მნიშვნელობა, მიზნები, მეთოდოლოგია; კვლევის მეთოდი, პროცესი; კვლევის ეთიკა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სილაბუსებში თვალსაჩინოდ იყოს მითითებული თემატიკა;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმათათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ სადოქტორო პროგრამა დოქტორანტთა პრაქტიკული უნარის განვითარებას უზრუნველყოფს პროფესორის ასისტენტობის სასწავლო კურსის ფარგლებში. რაც შეეხება, სწავლის შედეგების შესაბამისი კვლევითი კომპონენტის უზრუნველყოფას, და კვლევის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას სტუ-ს დოქტორანტურის დებულების თანახმად, დოქტორანტს ევალება: სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი, სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება (დადგენილი წესის შესაბამისად); ასევე სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში მონაწილეობა (მინიმუმ ერთი მოხსენება). სადოქტორო ნაშრომის მომზადებას დარგის კვალიფიციური პირი ხელმძღვანელობს, რომელიც სტუდენტს პროფესიული კვლევითი კულტურის ფორმირებასა და განვითარებაში, სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებელი ჩატარების პრაქტიკული ჩვევების გაღრმავებაში ეხმარება და მის საქმიანობას აფასებს. როგორც თვითშეფასების აღწერის, ასევე, დამატებითი დოკუმენტებისა და აკადემიურ პროცესში ჩართულ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის წილი, რომელიც ხელს უწყობს დოქტორანტის მიერ კვლევის მეთოდების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამომუშავებას და გამოყენებას, მნიშვნელოვნად დაბალია. გარდა ამისა, ზემოთაღნიშნული წყაროებიდან ასევე თვალსაჩინო გახდა, რომ დოქტორანტებს პროგრამის ფარგლებში არ ეძლევათ შესაძლებლობა ჩაერთონ, აქტიური მკვლევარების როლით ხელმძღვანელის მიერ წარმოებულ ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. ეს არა მხოლოდ გამოცდილების შესაძლებლობას მისცემდა დოქტორანტს, არამედ, პროფესორსა და

დოქტორანტს შორის გრძელვადიანი პროფესიული თანამშრომლობის შესაძლებლობას დაუდებდა სათავეს. პროგრამის დამატებით დოკუმენტებში წარმოდგენილია გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი სამ ორგანიზაციასთან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მემორანდუმი დასახელებული ორგანიზაციების უშუალოდ სადოქტორო პროგრამასთან თანამშორმლობას ითვალისწინებს. თუმცა, ჩნდება კითხვები ორგანიზაციის პროფილისა პროგრამის მიზნების შესაბამისობასთან მიმართებაში. მაგალითად, მემორანდუმი არასამთავრობო ორგანიზაცია - საქართველოს ფსიქო-სოციალური დახმარების ასოციაცია "ნდობა"-ს შორის, რომელიც ფსიქოლოგიური პროფილის მიმართულებით პრაქტიკულ საქმიანობებს ანხორციელებს, რაც კლინიკურ ფსიქოდიაგნოსტიკას, ფსიქორეაბილიტაციას გულისხმობს, ისმის კითხვა თუ რამდენად შეესაბამება სოციალური მეცნიერებების დოქტორანტების კვლევითი უნარების გაძლიერებაზე მიმართულ მიზნებს. სამივე მემორანდუმის თანამშრომლობის ფოკუსი მიმართულია ერთობლივ საჯარო ლექციების, კონფერენციების, სემინარებისა და ტრენინგების მოწყობაზე, ისევე როგორც, სხვა საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზებაზე. თუმცა, არ გულისხმობს თანამშრომლობას სამეცნიერო კვლევების მიმართულებით, რომელიც დოქტორანტის პრაქტიკული უნარების გამომუშავებს, როგორც მკვლევარად ჩამოყალიბებას და მისი, როგორც მეცნიერის განვითარებას უზრუნველყოფდა. მემორანდუმებში ასევე არ არის მოწოდებული ინფორმაცია დოქტორანტთა რაოდენობასა და პრაქტიკის ხანგრძლივობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური მეცნიერებები"; • სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები); • დოქტორანტურის დებულება.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია შედეგის სრულყოფილად მიღწევისთვის პროგრამის სასწავლო კურსებში/სემინარებში და სხვა აკადემიურ აქტივობებში პრაქტიკული (კვლევითი) კომპონენტის გაძლიერება. • რეკომენდებულია, თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება სოციალური კვლევის ორგანიზაციებთან და მსგავსი მიმართულების მქონე (პროფილის) დაწესებულებებთან (ფსიქოლოგიის შემთხვევაში სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან), რაც დოქტორანტს დაეხმარება სოციალური მეცნიერებების მიმართულებით პრაქტიკული /კვლევითი უნარების გამომუშავებაში, ასევე, კვლევით პროექტებში აქტიურად ჩართვაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და სხვა თანდართული დოკუმენტების შესწავლის შედეგად, ისევე, როგორც აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუებით აკადემიურ პროცესში ჩართულ სხვადასხვა პერსონასთან, ირკვევა, რომ თითოეული სასწავლო კურსის სწავლების მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. ასევე, გარკვეულწილად შეესაბამება კურსის შინაარსს და მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევაზე. სწავლება-სწავლისას გამოყენებული შეფასების სისტემაში, ჩაშლილია შემადგენელი კომპონენტები.

ინტერვიუს პროცესში როგორც აკადემიური პერსონალის, ისე დოქტორანტების მხრიდან ხაზი გაესვა დოქტორანტებისთვის აკადემიურ

პერსონალთან ინდივიდუალური კონსულტაციების შესაძლებლობას, რომელიც დანერგილია პროგრამის ფარგლებში და სისტემური ხასიათი აქვს. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კვლევითი მეთოდების სწავლება ემპირიული კვლევის პრაქტიკული განხორციელებით (მაგ. კვლევის პროექტი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტუ-ს აკადემიური საბჭოს დამტკიცებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები); • სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები: http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf • ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევითი მეთოდების სწავლება ემპირიული კვლევის პრაქტიკული განხორციელებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია, სადაც გაწერილია სტუდენტის შეფასება სასწავლო და სამეცნიერო-კველევითი კომპონენტების მიხედვით. უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება მეტწილად ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, იგი სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ და გამჭვირვალეა. არსებული შეფასების ფორმები, მეთოდები და კომპონენტები წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. ცალკეულ სილაბუსში სწავლა-სწავლებისას გამოყენებული შეფასების სისტემა და მითითებული კომპონენტები არ არის შესაბამისობაში კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. შესაბამისად, პრობლემური ხდება მათი მიღწევის უზრუნველყოფის საფუძვლები. მაგალითად, კურსის სილაბუსი *"სოციალური კვლევის მეთოდები"* შეფასებისთვის იყენებს პრეზენტაციის მეთოდს, რომელიც გულისხმობს სილაბუსით განსაზღვრული თემატიკიდან ერთერთი თემის არჩევას და სემესტრის ბოლოს წარდგენას. პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებში არ ჩანს თუ როგორ ხდება დოქტორანტის მიერ შესწავლილი კვლევის მეთოდების ცოდნისა და გამოყენების შეფასება; შეფასება არ ეფუძნება დოქტორანტის მიერ ინდივიდუალურად დაგეგმილ კვლევაში შესაბამისი მეთოდის შესახებ თეორიული ცოდნის გამოყენებას; პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები ძირითადად მიმართულია თეორიული ცოდნის შეფასებაზე, რაც პროგრამის კურიკულუმის რუქაში ამ კურსის მიზანსა და შედეგებს არ ფარავს. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტის პერიოდულ შეფასებას მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ, ამისთვის გამოყენებულია პროგრამის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტები: პროექტი/პროსპექტუსი და კოლოქვიუმი - 1; კოლოკვიუმი - 2; კოლოკვიუმი - 3; წინასწარი დაცვა; დისერტაციის დასრულება და დაცვა. სამეცნიერო პროგესის მონიტორინგის პროცესში სტუდენტი იღებს უკუკავშირს და საჭიროების შემთხვევაში რჩევებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ კვლევითი კომპონენტის განმავითარებელი შეფასების სისტემა და კრიტერიუმები არ არის ნათლად გაწერილი, რაც დოქტორანტს დაეხმარება კვლევითი გეგმის განხორციელებაში.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, სადისერტაციო ნაშრომების დაცვით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით კომისიური წესით. სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია ასევე მოიცავს მუხლს სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებისა და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები; • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება; • დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი (2020 წლიდან მოდიფიცირებული/დამტკიცებული სადოქტორო პროგრამებისათვის) • დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების ინსტრუქცია • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, ჩამოყალიბებული იქნას კოლოქვიუმის განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები. • პროგრამაში დასახული მიზნების სრულყოფილად მიღწევის მიზნით რეკომენდებულია კურსის "სოციალური კვლევის მეთოდები" სილაბუსში პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოიცავდეს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას (მაგ. ემპირიული კვლევა), რათა შესაბამისობაში იყოს კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოს მათი მიღწევა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები იღებენ სათანადო და დეტალურ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის და სასწავლო ცხრილების შესახებ. ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე ხელმისაწვდომია ადმინისტრაციის და აკადემიური პერსონალის მხრიდან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში არსებობს ელექტრონული სწავლების საუნივერსიტეტო პლატფორმა, სადაც განთავსებულია სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ელექტრონული კურსები და ამასთან დაკავშირებული ელექტრონული სალექციო მასალა, დეტალური ინფორმაცია სტუდენტის საკუთარი შეფასების თაობაზე, GPA და სხვა. სტუდენტები იღებენ ინფორმაციას დასაქმებაზე და ახალ ვაკანსიებზე ფაკულტეტის წარმომადგენლების მეშვეობით, ისევე როგორც დამსაქმებელთან შეხვედრების მეშვეობით. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტური პროექტების დაფინანსების პროგრამა. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ იღებენ სათანადო ინფორმაციას და აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და კონფერენციებში. თუმცა, უნდა გაესვას ხაზი, რომ არ ჩანს დოქტორანტების აქტიური ჩართულობა საერთაშორისო კვლევით პროექტებში, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის პრიორიტეტული კომპონენტია, რაც ასახულია სტანდარტი 2.4-ის რეკომენდაციაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა • ამონაწერი "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციიდან" "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციიდან" : https://bit.ly/3qWw8ss • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო ცხრილი: https://leqtori.gtu.ge/2021_2022/I/B/info • სახელმძღვანელო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ; • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გამოწვევაა შესაბამისი კვალიფიკაციის და კვლევითი გამოცდილების მქონე ხელმძღვანელები. პროგრამის დოკუმენტებიდან, ინტერვიუებიდან და წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომების ჩამონათვალიდან ირკვევა, რომ რიგ შემთხვევაში დოქტორანტებს სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევს აკადემიური პერსონალი, რომელთა სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება მწირია საკვლევი საკითხის მიმართულებით (მაგ. განათლების დოქტორი ხელმძღვანელობს ფსიქოლოგს სადოქტორო ნაშრომის თემა - დევიაციის ფსიქოლოგია და მისი ძირითადი ასპექტები). ხელმძღვანელთა უმრავლესობას უსდ-ში აქვს ქართულ ენაზე შექმნილი სახელმძღვანელოების თანაავტორობის გამოცდილება. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში და უსდ-ს მიერ დაარსებულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები.

წარმოადგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დოქტორანტთა და ხელმძღვანელთა თანამფარდობა შეადგენს 75/27. შესაბამისი კვლევითი გამოცდილებიდან გამომდინარე ხელმძღვანელების აღნიშნული რაოდენობა სრულად ვერ დაფარავს დოქტორანტთა კვლევით ინტერესებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში არსებობს სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულება, სადაც, დეტალურად გაწერილია სადისერტაციო საბჭოს მიზნები, ასევე მასში შემავალი წევრების უფლებამოსილებები. ასევე დებულებაში დეტალურად აღწერილია სადოქტორო პროგრამის ხელმზღვანელის უფლებამოსილებები, დოქტორანტურაში სწავლის, დოქტორანტის ხელმძღვანელისა და სადისერტაციო თემის შეცვლის, დასახელების კორექტირებისა და დოქტორანტის სტატუსის შეჩერების პროცესები.

სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს აქვთ დეტალური ინსტრუქცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების შესახებ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალური მეცინერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს აქვთ რეგულარული კონსულტაციები ხელმძღვანელებთან კვლევით პროცესთან დაკავშურებით, ასევე კვლევის დიზაინის, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესის, ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება • ხელმძღვანელების პირადი საქმეები და კვლევები; • დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების ინსტრუქცია • ფაკულტეტის ვებ-გვერდი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • პროგრამის დასახული მიზნების სრულყოფილად განხორციელების მიზნით რეკომენდებულია დოქტორანტებს სამეცნიერო ხელმძღვანელობა გაუწიოს აკადემიურმა პერსონალმა, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება; • რეკომენდებულია, პროგრამამ გაითვალისწინოს სტუდენტთა კვლევითი ინტერესები და მიზანშეწონილია გონივრული თანაფარდობა იყოს დაცული დოქტორანტებსა და ისეთ სამეცნიერო გამოცდილების მქონე ხელმძღვანელებს შორის, რომელთაც გააჩნიათ სანათანადო კომპეტენცია სოციალურ მეცინერებების კვლევის სფეროებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციით პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 28 აკადემიური და მოწვეული პირი მათ შორის **13 პროფესორი; 5 ასოცირებული პროფესორი, 10 მოწვეული პერსონალი (7 პროფესორი 3 ასოცირებული პროფესორი).** პროგრამის განმახორციელებელი ყველა აკადემიური პერსონალი აფილირებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შესაბამისი ხელშეკრულებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაანალიზებულ იქნაარსებული დოკუმენტები; სამეცნიერო მიმართულებებზე აკადემიური ხარისხის მიხედვით აკადემიური პერსონალის ჩამონათვალი, აკადემიური პერსონალის CV-ები. ასევე ბოლო 7 წლის განმავლობაში უკვე დაცული დისერტაციების თემების ჩამონათვალი და ხელმძღვანელების თემების შესაბამისობათან დაკაშვირებული ნაშრომების ჩამონათვალი.

28 აკადემიური პერსონალიდან 14 წარმოდგენილია როგორც ნაშრომების ხელმძღვანელი,

უნდ აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი 28 აკადმეიური პერსონალიდან მხოლოდ ნაწილს აქვს სადოქტორო ხარისხი სოციალურ მეცნირებებში.

დოქტორი ან დოქტრთან გათანაბრებული ხარიხების ჩამონათვალი: 6 ისტორიაში, 3 ფილოლოგიაში , 7 ფილოსოფიაში, 2 პოლიტიკის მეცნიერბებში, 3 სოციალურ მეცნიერებაში, 1 განათლებაში, 1 ბიზნესში, 2 სოციოლოგიაში, 2 ფსიქოლოგიაში,

პერსონალის წარმოდგენილი CV-ების და ბოლო წლებში გამოქვეყნებული შრომების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავდ იმისა, რომ აკადმიური და მოწვეულ პერსონალს აქვთ გამოქვეყნებული ნაშრომები, მონოგრაფიები და საკონფერენციო მასალები, იგრძნობა უცხო ენაზე გამოქვეყნებული კვლევითი ნაშრომების ნაკლებობა, მხოლოდ ერთეულ აკადემიურ პერსონალს, ძირითადად მოწვეულს აქვს საერთაშორისო კვლევითი პუბლიკაციები, რას შეიძლება ითქვას რომ არის ამ პროგრამის, როგორც სადოქტორო პროგრამის გამოწვევაა.

წარმოდგენილი დისერტაციების სათაურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ სათაურები არ ეხმიანება სოციალურ მეცნიერებაში ჩატარებული კვლევებს - მაგ "საქართველოს ეკლესია კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის მოღვაწეობის პერიოდში." "საქართველოს სპორტის სოციალურ-

ესთეტიკური ასპექტები (ტანვარჯიშის მაგალითზე)."კიდევ შეიძლება მაგალითების მოყვანა.

სადოქტორო ნაშრომების ნაწილი შესრულებულია ფსიქოლოგიაში. ფსიქოლოგიაში არსებული მიმართულებების მიხედვით სოციალური მეცნიერების სადოქტორო პროგრამაში შესაძლებელია შესრულდეს კვლევა სოციალური და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მიმართულებით.რომელსაც ხელმძრვანელობა უნდა გაუწიოს ფსიქოლოგიის დოქტორმა შესაბამის მიმარტულებით. აკადემიურ პერსონალშ წარმოდგენილია 2 შესაბამისი აკადემიური ხარისიხ პროფესორი, აქედან 1 მოწვული. უნდ აარინიშნოს, რომ დოქტორი განათლების მეცნიერებეში ხელმძღვანელობს ფსიქოლოგიაში შემდგეგი სათაურის დისერტაციებს: ""ინტელექტის დონეები და ემპათიურობის პრობლემა.""დევიაციის ფსიქოლოგია და მისი ძირითადი ასპექტები"

თუ ამ მიმართულებას ლოგიკურად მივყვებით სადოქტორო პროგრამაში აკადემიური პერსონალის შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის არსებობას, რომელა ექნებათშესაბამისი კომპეტენცია უნდა დადასტურდებოდეს სამეცნიერო აქტივობებით, კვლევითი ნაშრომებით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობთ და (უმჯობესია, რეფერირებადი და მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე) საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების შესაბამისი რაოდენობით. რაც უნდა ეხმიანებოდეს სახელმძრვანელო დისერტაციის თემატიკას.

ამ მხრივ, უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებმა (მათ შორის აკადემიური პერსონალის CV-ის განხილვამ და ასევე ინტერვიუს შედეგებმა ცხადყო, რომ დისერტაციის ხელმძღვანელების ნაწილს ამ მიმართულებით კვლევები, მათ შორის საერთაშორისო პუბლიკაციები კვლევათა ჩამონათვალში ნაკლებად აქვთ წარმოდგენილი. ასევე, სადოქტორო პროგრამაში წარმოდგენილი სხვა აკადემიური პერსონალის კვლევითი შრომების შესაბამისობა დაცულ დისერტაციებთან კითხვებს აჩენს.

ექსპერტების აზრით, ეს ამ პროგრამის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს.

ინტერვიუების დროს ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით უნივერსიტეტის საკონკურსო პირობებში უკვე ჩადებული აქვს მსგავსი პირობა, რაც მომავალშო ხელს შეუწყობს პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისაობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; CV-ბი;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები;

- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა, სადოქტორო დებულება
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელების შერჩევისას გათვალისწინებული იქნას შესაბამისი მიმართულების კვლევითი გამოცდილება და საერთაშორისო პუბლიკაციები სამეცნიერო ჟურნალებში;
- რეკომენდებულია, პროგრამას ახორციელებდეს სოციოლოგურ მეცნიერებებში კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი (იგულისხმება ძირითადი და არა მოწვეული), რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, მათ შორის ბალანსი და დატვირთვა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის მდგრადობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებას შემუშავებული და დეტალურად აქვს გაწერილი პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და მიღებული შედეგების ანალიზის პროცედურები, კრიტერიუმები, უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების ხელშეწყობა შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროგრამის საშუალებით, რომლის ფარგლებში აკადემიურ პერსონალს შეუძლიათ წარმოადგინონ სამეცნიერო კვლევითი პროექტები და კონკურსის საფუძველზე კვლევის განსახორციელებლად დაფინანსება მიიღონ; რაც დადასტურდა კვლევითი პროექტების ავტორების ინტერვიუირებისას.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მონაწილეობს ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებასა და მუშაობაში.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გადის ტრენინგებს.,კერძოდ კარიერის დაგეგმვა; სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიები; სწავლის შედეგები და მათიშეფასება; კომუნიკაცია დაკოგნიცია.
აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის შექმნილია აუცილებელი მატერიალური-ტექნიკური ბაზა - სტუ-ის ბიბლიოთეკა.

უნივერსიტეტი ფინანსურად უზრუნველყოფს და ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშრომების და სხვა ბეჭდური მასალის ქართულ ენაზე გამოქვეყნებას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის ნაწილი პერიოდულად მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- აკრედიტაციის ვიზიიტის დროს მიღებული ინფორმაცია

- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უსდ-მ გაითვალისწინოს აკადემიური პერსონალის კვლევების ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნა; პროგრამამ დააკმაყოფილოს საერთაშორისო პულიკაციების ფინანსური მხარდაჭერა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, მათ შორის, სოციალური მeცნიერებeბის სადოქტორო პროგრამის მომავალი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, კომპიუტერული კლასები, ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით, ელექტრონული და ბეჭდური წიგნების ფონდით და შესაბამისი ელექტრონული ბაზით, ელექტრონული კატალოგით.

სტუ-ს ცენტრალურ_ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები. პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. ძირითადი ლიტერატურა წარმოდგენილია ელექტრონულად სახელმძღვანელოების, საკითხავი მასალის კრებულების, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურის სახით. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში. სტუ, მონაწილეობს პროექტში „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის“, რომელიც ითვალისწინებს გაწევრიანებას კონსორციუმში და საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნვეყოფას. კონსორციმში მონაწილეობით სტუ-ი იყენებს შემდეგი ელექტრონული რესურსების გამოყენების უფლება: Cambridge Jurmals Online, BioOne Complete, e-Duke Jurnals Scolarly Collection, Edward Elgar Publishing Jurnals and Developmens Studies e-books, IMechE Jurnals, New England Jurnals of Madicine, Royal Society Jurnals Collection, SAGE Premier.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • სტუ–ს ცენტრალური სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკა: http://gtu.ge/Library/ • სტუ-ს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი http://gtu.ge/bef/Resources/Library.php; • _ფაკულტეტის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, თვისებრივი კვლევების განხორციელებისათვის, პროგრამის რესურსებში დაემატოს მონაცემების ანალიზის NVivo-ს (ან სხვა ალტერნატიული კომპიუტერული პროგრამების) პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფა;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ფინანსდება ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად. ფინანსები პროგრამებისათვის განსაზღვრულია ფაკულტეტის ბიუჯეტში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტში ნათლად არის წარმოდგენილი ხარჯვითი ნაწილი, დამაკმაყოფილებია თუმცა დაწესებულებას ინტერნაციონალიზაციის გაზრდისთვის , კერძოდ საერთაშორსიო პუბლიკაციების მხარდასაჭერად და ამ მიმარტულებით პერსონალის წასახალისებლად დასჭირდება ფინასნების მობილიზება. ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ და იანგარიშება პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების მიხედვით. პროგრამის ხარჯებში გათვალისწინებულია: აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის სახელფასო სარგო და საშტატო განაკვეთის დატვირთვის მოცულობა, წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის გასაწევი ინფრასტრუქტურული ხარჯი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • უსდ-ის ბიუჯეტი;

• პროგრამის ბიუჯეტი; • უსდ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			X	

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სამსახურის დებულებით. სამსახურის ძირითადი ამოცანებია: უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება საქმიანობის სრულყოფის მიზნით, სწავლის, სწავლების, კვლევისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა, ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმების სრულყოფა და თვითშეფასების მუდმივი განხორციელება, უნივერსიტეტში ბოლონიის პროცესის პრინციპების დანერგვა და განვითარება, საერთაშორისო თანამშრომლობისა და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა და უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრასმების აკრედიტაციის პროცესების ორგანიზება. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მისიაა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირები ჩართოს და მიაწოდოს ინფორმაცია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და მათი ეფექტიანობის შეფასების, ასევე ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის შესახებ, რათა თითოეულმა მათგანმა უზრუნველყოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა და ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დანერგვასა და განვითარებას. უსდ მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს: დაინტერესებული პირების - სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და დამსაქმებლების გამოკითხვა შესაბამისი კითხვარების საფუძველზე. სამსახური ასევე უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ყოველწლიური სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასებას, რომელიც ხორციელდება სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის ანალიზის საფუძველზე. უსდ-ს შემუშავებული აქვს ,,პროფესორ-

მასწავლებელთა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ავტომატიზებული სისტემა“. აღნიშნული სისტემა საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც პერსონალის კომპეტენტურობა, ასევე, მისი საქმიანობა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით და სამეცნიერო მუშაობა. შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და განვითარების მიმართულებით.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართულნი იყვნენ როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი, კურსდამთავრებულები და პოტენციური დამსაქმებლები; ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. უნივერსიტეტის მიერ „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, თანდართული დოკუმენტაცია, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია ცხადჰყოფს, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის მუდმივ შეფასებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PDCA” პრინციპის შესაბამისად.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. თუმცა, აკრედიტაციის ვიზიტის განმავლობაში გამოვლინდა დაინტერესებულ მხარეთა მეტი ჩართულობის საჭიროება, მათ შორის განმახორციელებელი პერსონალის ნაწილში. შესაბამისად, რეკომენდებულია ხარისხის სამსახური არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფორმალური მექანიზმების არსებობით და უფრო გააქტიურდეს ურთიერთთანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან, რათა რეალურად იყოს ორიენტირებული პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაზე და პროგრამის განვითარების გზების დასახვაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - სოციალური მეცნიერებები
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დებულება
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- განხორციელებული შეფასების შედეგების ანალიზი და პროგრამაში გამოყენება
- სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი
- სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების წესი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://gtu.ge/
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ხარისხის სამსახური არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფორმალური მექანიზმების არსებობით და უფრო გააქტიურდეს ურთიერთთანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან, რათა რეალურად იყოს ორიენტირებული პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაზე და პროგრამის განვითარების გზების დასახვაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, პროგრამის დაინტერესებული მხარეების შეფასებასა და გარე ექსპერტის შეფასებას.
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტიზა.
სოციალური მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა გარე კოლეგიალური შეფასების მიზნით გაზიარებულ იქნა გარე შემფასებლებთან, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიას და დიმიტრი უზნაძის სახელობის საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოებას. პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო და კვლევითი კომპონენტი, სწავლების მეთოდები, ადამიანური რესურსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეფასდა დადებითად და დაიმსახურა პოზიტიური გამოხმაურება.
2012 წელს გავლილი სააკრედიტაციო პროცესის შედეგად და პერიოდული შეფასების მექანიზმების გამოყენებით მიღებული რეკომენდაციები გამოყენებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, კურიკულუმის დახვეწის, პროგრამის შინაარსობრივი ცვლილებებისა და მიზნებისა და შედეგების განვითარების მიმართულებით. ამასთან, ინსტიტუცია გამოხატავს მზაობას აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნას პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - სოციალური მეცნიერებები
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დებულება
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- განხორციელებული შეფასების შედეგების ანალიზი და პროგრამაში გამოყენება
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://gtu.ge/
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას სასწავლო პროცესის ხარისხის კონტროლის, ფაკულტეტზე სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ხარისხის შეფასებისა და აკადემიური პერსონალისა და პედაგოგების პროფესიული მომზადების შეფასების მიმართულებით. შეფასებისა და განვითარების მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ პერსონალთან,

სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. გარდა ამისა, ხორციელდება სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგიალური დასწრების საშუალებით, ასევე, ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები აფასებენ სალექციო კურსებს, ამასთან, ხორციელდება პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლისა და ხარისხობრივი მაჩვენებლის მიმართულებით. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას.

ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა გამოკითხვის შედეგების მეტად გათვალისწინების საჭიროება ხდება პროგრამის განვითარების სამუშაო ეტაპებზე, რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერვიუებით, თუმცა გამოკითხვის შედეგები მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება პროგრამების განვითარება. *რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავოს პროგრამაზე დაკვირვების სათანადო კრიტერიუმები და ინდიკატორები, რათა მონიტორინგის ფარგლებში მეტად იყოს გამახვილებული ყურადღება პროგრამის მახასიათებლებზე, განსაკუთრებით პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათის გათვალისწინებით სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელებისა და განმახორციელებელი პერსონალის შესაბამისობის მიმართულებით.*

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, განხორციელდა ადგილობრივი მსგავსი პროგრამის შესწავლა და საგანმანათლებლო პროგრამის დადარება საერთაშორისო ანალოგიურ პროგრამებთან. შესწავლილ იქნა საქართველოში საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა და საერთაშორისო გამოცდილება კანადის ვიქტორიის, ლესტერისა და მეინუტის უნივერსიტეტებში, რომლებიც თავისი მიდგომითა და აკადემიური ბადით ახლოსაა მოცემულ „სოციალური მეცნიერებების“ წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამასთან. აღსანიშნავია პროგრამის სიახლოვე მოკვლეულ უცხოურ ანალოგებთან, განსაკუთრებით პროგრამის სასწავლო კომპონენტებთან მიმართებით. თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიურების პროცესში დადგინდა, რომ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილება, ასევე გაზიარებულ იქნა დარგის შესაბამისი საუკეთესო პრაქტიკა, თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - სოციალური მეცნიერებები
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დებულება
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- განხორციელებული შეფასების შედეგების ანალიზი და პროგრამაში გამოყენება
- პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სოციალური მეცნიერებები“პედაგოგთა შეფასების კითხვარის ანალიზი
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გამოხმაურება - გარე კოლეგიალური შეფასებები
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ადგილობრივი და საერთაშორისო ანალოგების ანალიზის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები (თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან)
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://gtu.ge/

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავოს პროგრამაზე დაკვირვების სათანადო კრიტერიუმები და ინდიკატორები, რათა მონიტორინგის ფარგლებში მეტად იყოს გამახვილებული ყურადღება პროგრამის მახასიათებლებზე, განსაკუთრებით პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათის გათვალისწინებით, სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელებისა და განმახორციელებელი პერსონალის შესაბამისობის მიმართულებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები			X	

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

დოქტორანტურა, "სოციალური მეცნიერებები"

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 59

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			X	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			X	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები			X	

[აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის]

ანა კირვალიძე

[აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის]

ეკატერინე ფირცხალავა



თამთა ცხოვრებაძე

ლანა ბოკუჩავა